საქართველოს
პარლამენტი

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ
საკითხთა კომიტეტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის გამზ. 26

N 2103/4-13
09/03/2016

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

მოგეხსებათ, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისი ადვოკატირებას უწევს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის დანერგვას ქვეყანაში, რათა მოხდეს მოსახლეობის განვითარების დინამიკის ასახვა ქვეყნის განვითარების პროგრამებისა თუ პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

2014-2016 წლებში საქართველოს მთავრობამ დემოგრაფიული პოლიტიკის გასაძლიერებლად განახორციელა:

- ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის მიღება;
- საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცება;
- 3-წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება *დაბერების მეინსტრიმინგის გზამკვლევში* ასახული რეკომენდაციების განხორციელებისთვის, რომლისთვისაც პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტთან შეიქმნა მრავალსექტორული სამუშაო ჯგუფი.

გარდა ამისა, საქართელოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თხოვნით, 2016 წელს გაეროს მოსახლეობის ფონდი გეგმავს ტექნიკური დახმარება აღმოუჩინოს საქართველოში პირველი ეროვნული დემოგრაფიული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებას, რომლის მიღება მოხდება პარლამენტის მიერ, ხოლო მთავრობას დაევალება სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის შემუშავება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2016 წლის 4-8 აპრილს დაგეგმილია სასწავლო ვიზიტი ბულგარეთში, რომლის ორგანიზებში დახმარებას გაუწევს და ფინანსურად უზრუნველყოფს გაეროს მოსახლეობის ფონდი.

სასწავლო ვიზიტი გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლებისთვის, რათა მაღალი დონის საერთაშორისო ტექნიკური გამოცდილების მიწოდებასთან ერთად შესაძლებლობა მიეცეთ ინფორმაცია მიიღონ ბულგარეთში დემოგრაფიული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების წარმატებული გამოცდილების შესახებ. ასევე, მათ საშუალება ექნებათ გაეცნონ მთავრობის აღმასრულებელი შტოს ინსტიტუციურ მექანიზმს, რომელიც აღნიშნული პოლიტიკის განხორციელებასა და კოორდინაციაზე არის პასუხისმგებელი.

გთხოვთ, სასწავლო ვიზიტის თემების გათვალისწინებით, მიმდინარე წლის 11 მარტამდე წარმოგვიდგინოთ თქვენი მოადგილის კანდიდატურა (სახელი, გვარი, საკონტაქტო ტელეფონი), რომელიც მონაწილეობას მიიღებს დაგეგმილ ვიზიტში.

(კომიტეტთან საკონტაქტო პირი: ლელა ასათიანი ტელ: 577209949, e-mail: lasatiani@parliament.ge)

პატივისცემით,

დიმიტრი ხუნდაძე

თავმჯდომარე